ცნობის ფურცელი

№ 1741 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 კვირა, 3 მარტი № 1741

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშუეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ამ №-თან ხელის-მომწერთ ეგზავნებათ სურათებიანი დამატების მე-30 №-რი.

კვირას, 10 მარტს **ქართული თეატრი** 1902 წელს

ვ. ა. აბაშიძეს

25 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად ქართულ სცენაზე

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის მიერ გამართულ იქმნება

სადღესასწაულო წარმოდგენები

დილით: დასაწყისი 1 საათზე.

წარმოდგენილი იქმნება სცენები თავ. გ. ერისთავის კომედიიდან

„გაყრა“

თვითონ იუბილარის და მთელი დასის მონაწილეობით; დასასრულ

სადღესასწაულო მილოცვები და სხვ.

საღამოთი: დასაწყისი 8 საათზე.

მესამე მოქ. გოგოლის კომედ. „**რევიზორი**“, მეორე მოქ. ა. ცაგარლის კომ. „**ხანუმა**“, მესამე მოქ. მოლიერის კომ. „**მუზმუზელა**“ და მესამე მოქ. სუნდუკიანცის კომედია „**ხათაბალა**“. დასასრულ

აპოთეოზი

ადგილების ფასი საბენეფისოა

დრამატიული საზოგ. ადმინისტრაცია.

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მალალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საქმეო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

ქუთაისში, ვ. ბეჟანიშვილის მაღაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცლი“-ს №№-ბი, თითო №-რი 3 კ. დამატებით—5 კაპეიკ

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ი. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 9—10 საათამდე.

ვ. გ. მალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 10—11 საათამდე. სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. წ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ვ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

სტ. ალ. ვოინო—ქირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1,—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მალალაშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური გამოკვლ.)

გ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—8 საათამდე.

ვ. მალალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები - მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სვგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274. (წლ.)

ქუთაისის წყლის მილის ამხანაგობის

გამგეობა

აუწყებს ამხანაგობის წევრთ, რომ 1902 წლის 10 მარტს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე, ტფილისში, ხარაზოვის სახლში, (ერევნის მოედანი) გამგეობის კანტორაში დანიშნულია ამხანაგობის წევრთა **საგანგებო კრება**; თუ ამ დღეს კრებას კანონიერი რიცხვი წევრებისა ვერ დაესწრო და კრება ვერ შესდგა, მაშინ იგი ინიშნება 17 მარტისათვის, როდესაც კრება უთუოდ შესდგება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

კრების განსახილველი საგნები:

1) ამხანაგობის მოქმედების ანგარიში 1902 წლის 1-ლ იანვრამდის; 2) გამგეობის მოხსენება საზოგადოების საქმეთა შესახებ; 3) ამხანაგობის ხელშეკრულობის ზოგიერთ მუხლების შეცვლა და დამატება; 4) სამთო ინჟენერის ა. დ. მიხაილოვის წინადადება ქუთაისის ტრამვაის კონცესიის ამხანაგობისათვის გადაცემის შესახებ; 5) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევანი და 6) დირექტორ-გამგის ინჟ. ა. დ. მიხაილოვის მოხსენება, გამგეობის დასკვნით.

რწმუნებულობის წარმოდგენა შეიძლება ხელშეკრულობის მე-35 §-ის თანახმად. (3—2)

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთ იწვევენ საზოგადოების **წლიურ კრებაზე**, სამშაბათს, 5 მარტს, საღამოს 8 საათზე.

განსახილველი საგნები:

1) საზოგადოების მოქმედების ანგარიში 1901 წელს.

2) ტფ. საბაღოსნო სკოლის ანგარიში 1901 წელს.

3) მოკლე ანგარიში კავკასიის გამოფენის შესახებ.

4) ა. ა. ქალანთარის მოხსენება საზოგადოების მომავალ მოღვაწეობის შესახებ.

კრებაზე დასწრება არა წევრთაც შეუძლიათ. (2—1)

ქ. ბათუმში

იყიდება გაზეთი „ცნობის ფურცელი“ სპ. ჰელიძის წიგნის მაღაზიაში, შერემეტიევის ქუჩაზე, ნურიის ბაზარში, სასწორის პირდაპირ. (0—19)

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ექიმი

ვახტანგ ღამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—10-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24

ტელეფონი № 642.

კიდევ მომავალ არჩევნების გამო

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ გვიახლოვდება ქალაქის არჩევნები. წინა წერილში მოვილაპარაკეთ ქართველების და სომხების ურთიერთობის ხასიათზე და ვსთქვით, რომ ამ ორ მეზობელ ერთა შორის, ისტორიულ და ეკონომიურ მიზეზთა მიხედვით, განხეთქილება ჰსუფევს. მაგრამ ამასთან ისიცა ვსთქვით, რომ სომხების ზოგიერთ ჯგუფებთან დაახლოვება შესაძლებელი და სასურველიცაა.

ამ დაახლოვების ნიადაგად ქალაქელ მცხოვრებთა ინტერესი უნდა იყოს. ქალაქი როგორც კავკასიის გული, თავის მრავალფეროვან ხასიათით, იმ ასპარეზად უნდა გადაიქცეს, სადაც, თანდათან უნდა გამოირკვეს მეტოქე ერთა წარმომადგენლების შეთანხმებული მოქმედება.

ქალაქის საქმეებს რომ დავაკვირდეთ, ნათლად დავინახავთ, მომავალს საარჩევნო საქმეებში ქართველები რა გზას უნდა დაადგნენ. ქალაქი ბურჟუაზიას ხელში უჭირავს. როგორც ყველგან რუსეთში, ტფილისშიაც ბურჟუაზია განაგებს ქალაქის საქმეებს. მისის მეცადინეობით ქალაქის მდიდარი ნაწილი თანდათან იზრდება, უკეთესდება, მის მხნეობას უნდა მივაწეროთ ის, რომ ყველაფერი, რაც კეთდება ქალაქში, უმთავრესად მცხოვრებლების მდიდარ ნაწილის სასარგებლოდ კეთდება.

მომავალ არჩევნების დროს ეს უნდა გვქონდეს მხედველობაში. საჭიროა, ყურადღება მიექცეს განაპირა მცხოვრებლების მდგომარეობას. საჭიროა ქუჩების გასწორება, მოკირწყვლა და განათება იქ, სადაც ამ ჟამად კლდე-ღრე, ოღრო-ჩოღროა და სადაც სიბნელისაგან კისრის მოტეხა ადვილია, საჭიროა სკოლების და სამკითხველოების გამართვა ქალაქის იმ ნაწილში, სადაც ქალაქის ღარიბი და უსწავლელი ხალხი სცხოვრობს. საჭიროა ქალაქმა იკისროს მცხოვრებლების უმთავრესს საჭიროებათა დაკმაყოფილება. ქალაქმა კერძო პირებს ხელიდან უნდა გამოაცალოს ხორცის და პურის ვაჭრობა, მიმოსვლის იარაღი (ცხენის რკინის გზა), ხალხის გასართობი და სწავლა—განათლების დაწესებულებანი და სახალხო და იაფ-ფასიანი სადგომები უნდა ააგოს.

უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი ამგვარი საქმე—ცხენის რკინის გზა არის იგი, თუ სხვა რამ საქმე, კერძო ხელში ჩავარდნილი, როგორც კაპიტალისტური ხასიათისა, მოგებას მხოლოდ კერძო პირს აძლევს. და ამრიგად, როდესაც მცხოვრებლების უმთავრესი საჭიროების დაკმაყოფილება (ჭამასმისა, სწავლისა, მიმოსვლისა და სხვა) ამ კერძო პირის ხელშია, აშკარაა, რომ საქმის წარმოების სარგებელი მთლად ამ კერძო პირს რჩება.

ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ინიციატივის გასაზოგადოებრივებას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ამ შემთხვევაში საქმის მოთავედ, მესაკუთრედ თვით საზოგადოება, ქალაქი ხდება. ამისათვის ყოველივე მოგება საზოგადოებასვე უბრუნდება. დასავლეთ ევროპის ქალაქების ისტორიას რომ დააკვირდეთ, სწორედ ქალაქების ამგვარ მისწრაფებას დაინახავთ. სხვა-და-სხვა საწარმოებელი საქმეების „მუნიციპალიზაცია“ (გასაზოგადოებრივება)—აი ის მიზანი, რომლის განხორციელებას სცდილობენ ევროპაში.

ჩვენა გვგონია, რომ ჩვენც გვერდს ვერ ავუქცევთ ამ გზას, თუ ქალაქის მცხოვრებლების კეთილდღეობაზე მართლა გვინდა ვიზრუნოთ.

ამ საგანს კიდევ დავუბრუნდებით. დღეს მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ ქალაქის არა შეძლებულ ნაწილის ინტერესი უნდა გვქონდეს მხედველობაში და ამ ნიადაგზე სომხებთანაც დაახლოვება შესაძლებელია და სასურველი.

თუ ქართველ ამომრჩეველს ქალაქის საქმეებში მონაწილეობის მიღება ჰსურს, ყველა ეს არ უნდა დაივიწყოს. მისკენ იქნება სიმართლეც და სომხის ის ნაწილიც, რომელიც სომხის ბურჟუაზიის უპირატესობას ებრძვის. სიმართლე და ტაქტიკა მოითხოვს საერთო საარჩევნო დემოკრატიულ პროგრამის შემუშავებას.

არჩილ ჯორჯაძე

ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსი გურია-სამეგრელოსა

ხვალ, 4 მარტს, სრულდება 40 წელიწადი მას შემდეგ, რაც ჩვენი მხცოვანი და გამოჩენილი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე (ოქროპირიძე) ეპისკოპოსად ეკურთხა.

ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს კარგად იცნობს მთელი ჩვენი ქვეყანა, რომლის წინაშე მას დიდი სამსახური მიუძღვის. კარგად განათლებული, თავის სამშობლოს სიყვარულით გატაცებული ალექსანდრე ვიწრო სასულიერო ფარგალში მოღვაწეობით არ კმაყოფილდება და ერთგულად, მხნედ სწვდება საერთო საქვეყნო საქმეებს.

ეკურთხა თუ არა ეპისკოპოსად, მას წილად ხვდა შორეულს აფხაზეთში სამსახური; შემდეგ დიდ ხანს იყო ქართლის ეპისკოპოსად, დროებით ჰმართავდა გურია-სამეგრელოს ეპარქიასა და ამ ჟამად ბრძანდება ამ ეპარქიის გამგედ.

დიდია ალექსანდრე ეპისკოპოსის დღვაწლი ჩვენის ლიტერატურის წინაშე: მისის ენერგიისა და საშუალების წყალობით გამოიცა ისეთი საყურადღებო თხზულებანი, როგორიც არის: 1) აბიბოს ნეკრესელის ქადაგებანი, 2) მზამეტყველება, ანტონი ქათალიკოსისა, 3) ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრის შესახებ, 4) ქართული გრამატიკა, ანტონ კათალიკოსისა, 5) საბა სულხან ორბელიანის ლექსიკონი და სხვა. აგრეთვე დიდია ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრეს დღვაწლი ჩვენის ნაშთების აღდგენისა და განახლების საქმეში: მან განაახლა შიო-მღვიმე, ზედაზენი და ჯვარის ეკკლესია.

მივულოცავთ მხცოვანს მღვდელ-მთავარს მის 40 წლის საეპისკოპოსო მოღვაწეობის იუბილეს და ვუსურვებთ დღეგრძელობას ჩვენის ქვეყნის საკეთილდღეოთ და სასიქადულოდ.

საზღვარ-გარედ

სამხრეთ-აფრიკა. ამას წინად გაზეთებმა ხმა გაავრცელეს ვითომ ლორდ როზბერის განზრახვა ჰქონდეს სამხრეთ-აფრიკაში ომის ველზე წავიდეს და ბურებთანზავის ჩამოგდება მოაგვაროს. ეხლა „ნოვოსტი“-ს კორესპონდენტი დეპეშით იტყობინება, რომ ლორდ როზბერის თათბირი ჰქონდა ინგლისის პირველ მინისტრთან სამხრეთ-აფრიკის საქმეებზედა. ეს დეპეშა თითქოს ამართლებდეს გაზეთების ზემოთ მოყვანილ ხმას. იმავე გაზეთის კორესპონდენტის სიტყვით, კიტჩენერს უნდა ეწინასწარმეტყველებინოს, რომ მალე ბურების სარდლებთან გაიმართება მოლაპარაკება. თუ მართლა მოლაპარაკება გაიმართება, მისი დამწყები კიტჩენერი იქნება: უკანასკნელ გამარჯვებისა და გენერალ მეტუენის დატყვევების შემდეგ ბურები იმდენად გამხნევებულად უნდა გრძნობდნენ თავს, რომ პირველები არ დაიწყებენ მოლაპარაკებას ზავის ჩამოგდებაზე. თუ ეხლა არსებულ პირობებში გაიმართა მოლაპარაკება, ინგლისი იძულებული იქნება იცნოს ბურების დამოუკიდებლობა. მართლაც, თუ დიდის გაჭირვების დროსაც ბურები მტკიცედ თხოულობდნენ სრულს თავისუფლებას ინგლისისაგან, ეხლა, როცა, შედარებით, მათი მდგომარეობა გაუმჯობესდა, შეუძლებელია, რომ სხვა პირობით შეურიგდნენ ინგლისლებს.

✡ „ტაიმსის“ დეპეშით ატყობინებენ: ბოტას განზრახვა აქვს გადვიდეს ორანჟეს რესპუბლიკაში დევეტთან და შტეინთან სათათბიროდ; კრიუგერის მაგიერი შალკ-ბურგერიც უნდა დაესწროს

ამ თათბირს; შესაძლებელია, რომ ამ თათბირს კიტჩენერის ზემოდ-მოყვანილ წინასწარმეტყველებასთან ჰქონდეს კავშირი.

ინგლისი. მთავრობას უფრო და უფრო უჭირს ომიანობის განგრძობა. ჯერ არის და ცხენების შოვნა გაჭირდა, უცხენებოდ კი ყოვლად შეუძლებელია ბურებთან ბრძოლა; ქვეითი ჯარი სამხრეთ-აფრიკაში გამოუსადეგარი შეიქნა. მეორე, თვით ჯარის-კაცების რიცხვის მომატებაც შეუძლებელი ხდება. სამხედრო მინისტრმა ბროდრიკმა განაცხადა ეხლახან, რომ „ჩვენ მეტი კაცი აღარ გვყავს“-ო. 1896-ში რეკრუტების რიცხვი 27,800 იყო; შემდეგ, მიუხედავათ ომისაგან გამოწვეულ ენტუზიასმისა, რეკრუტების რიცხვი შარშან ძლივს 45,000-მდე ავიდა. ჯარის შეკრების არსებულმა სისტემამ მოგვცა, რაც შეეძლო, განაცხადა სამხედრო მინისტრმა. ჯარის რაოდენობის შემცირებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება: ინდოეთი მეტ ჯარსა თხოულობს და სამხრეთ-აფრიკამიაც, უნდა დარჩეს ყოველის შემთხვევისათვის და დიდხანსაც საჭირო რიცხვი ჯარებისა.

ყველა ამ გარემოებათა მიხედვით სამხედრო სამინისტროს განზრახვა აქვს ზოგიერთი ცვლილებები მოახდინოს არსებულ სისტემაში. რეკრუტების შოვნას ყველაზე უფრო ხელს უშლის არსებულ წესის ის მუხლი, რომლის ძალით ჯარის კაცმა უნდა იმსახუროს შვიდი წელიწადი და სათადარიგო ჯარში ირიცხებოდეს ხუთი, ან და იმსახუროს რვა წელიწადი და რეზერვში ირიცხებოდეს ოთხი, თუ სამსახურის ვადა ინგლისის საზღვრების გარეშე თავდება. ბროდრიკის აზრით, ეს წესი მძიმე შესასრულებელია; გარდა ამისა, მინისტრს საჭიროდ მიაჩნია ჯარის-კაცის ჯამაგირის მომატება. სამსახურის ვადა შემდეგში იქნება სამი წელიწადი და ცხრა სათადარიგოდ ყოფნა; ინდოეთში და ახალშენებში კი 8 წელიწადი სამსახურში და 4 სათადარიგო ჯარში. ჩვეულებრივი ჯამაგირი ჯარის კაცისა იქნება 1 შილინგი (47 კაპ.) დღეში 10 პენსის მაგიერ, ვინც დათანხმდება 8 წელიწადი იმსახუროს, მისი ჯამაგირი იქნება 1 შილინგი და 6 პენსი (6—70 კ.).

ჯარის ეხლანდელ რიცხვის შესარჩენად საჭიროა 50,000 რეკრუტი და 150,000—175,000 სათადარიგო ჯარის კაცი.

წლიური ხარჯი ჯარისა იქნება 1,048,000 გირვანქა სტერლინგი ინგლისისათვის და 786,000 გირვანქა სტერლინგი ინდოეთისათვის (აქ სულ ხმელეთის ჯარზეა ლაპარაკი). ბროდრიკის სიტყვით, გაუმჯობესებული იქნება ოფიცრების სწავლებისა და ჯარის-კაცების გაწვრთნის საქმე. ყველაფერი ეს ძალიან ძვირად დაჯდება, მაგრამ, იმედია, ახალშენები დაგვეხმარებიანო.

✡ ირლანდიის ერი უფრო და უფრო მღელვარებს. სურათი ეხლანდელ ირლანდიურ ცხოვრებისა ბევრად წააგავს იმ სურათს, რომელსაც ეს ქვეყანა ოთხმოციან წლებში აგრარიულ ლიგის მოქმედების დროს წარმოადგენდა. მთავრობა გაორკეცებულ სასტიკ საშუალებებს ხმარობს ეხლანდელ „შეერთებულ ლიგის“ წინააღმდეგ, მაგრამ მიზანს მაინც ვერ აღწევს. მღელვარებამ ჯერ მხოლოდ ორ-სამ ადგილას იჩინა თავი ფერმერებ შორის, ეხლა კი იგი მთელს ირლანდიას მოედო. ლეიტრიმის საგრაფოს მოსამართლის ანგარიშით, მარტო ამ საგრაფოში ოცდა ცამეტი კომიტეტი დაუარსებიათ ირლანდიის შეერთებულ ლიგას, რომლის უმთავრესი დანიშნულება ინგლისელების წინააღმდეგ ბრძოლაა; ყოველ კომიტეტს საკუთარი სახლი ჰქონია, სადაც საიდუმლოდ იკრიბებოდნენ ლიგის წევრები. კომიტეტებს ნამდვილი ტერორის რეჟიმი შემოუღიათ ინგლისელ მესაკუთრეებისა და მათ მომხრეების წინააღმდეგ. ლიგის წევრთა რიცხვი აუარებელია.

კეთილშობილი გლადსტონი კარგად იცნობდა ირლანდიის ერს და მის მდგომარეობას, კარგად იცნობდა აგრეთვე ინგლისის პარლამენტსაც და ამიტომ იყო, რომ ირლანდიისათვის საკუთარ პარლამენტს თხოულობდა. სანამ ირლანდიას ერთგული პარლამენტი არ ექნება, არ გადაწყდება აგრარული კითხვაც. აქაც, როგორც სხვაგან, მაგალითად, ავსტრ-ჰუნგრეთში, ეროვნულ კითხვის გადაწყვეტაზეა დამოკიდებული სოციალურ პრობლემების გარკვევა-გადაწყვეტა.

ჩინეთი. „ტიმს“-ის პეკინელი კორესპონდენტი იწერება: „ინგლისისა და იაპონიის კავშირმა მეტი სიმტკიცე მისცა ჩინეთის გარეშე პოლიტიკას. ჩინეთმა კარგად იცის, რომ შანტუნგის პროვინციაში გერმანელების განსაკუთრებულ უფლებების გავრცელება არ ესიამოვნა არც იაპონიასა და არც ამერიკას და ამიტომ გერმანიას უარი უთხრეს ამ უფლებაზე“. აქედან ის დასკვნაც გამოდის, რომ არც რუსეთის დიპლომატიის წინაშე იქნება ჩინეთი ისე ქედ-მოხრილი, როგორც ეს ლიხუნჩანგის დროს იყო, და ამიტომ შესაძლებელია, რომ მანჯურიაში საქმე ადვილად არ გათავდეს, თუ ჩინეთი მართლა უფრო მტკიცე პოლიტიკას დაადგება და ამ სიმტკიცეს თავის ინტერესების დასაცველად მოიხმარს და არა „მოკრივეთა“ აჯანყების ხელის შეწყობაში, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს უცხოელების მდგომარეობას ამ იმპერიაში.

✡ ნანინგში და კუეისლონში ჯერ კიდევ აჯანყებაა და კანტონის მმართველს ჯარები გაუგზავნია აჯანყებულთა წინააღმდეგ. როგორც ისმის, აჯანყებულთა მეტი წილი მარშალ სუს ყოფილი ჯარის-კაცებია. ამათი მიზანია ეხლანდელ მანჯურიის დინასტიის ტახტიდან ჩამოგდება და ჩინეთის დინასტიის დაარსება; გარდა ამისა, ისინი აცხადებენ თურმე, რომ მზად არიან დაეხმარონ ყველა გაჭირვებულსა და შევიწროვებულს. ჩინეთის მთავრობამ უბრძანა მარშალ სუს მიიღოს ჯარების შეროსობა აჯანყებულთა წინააღმდეგ, მაგრამ ეჭვობენ, რომ მან რამე გააწყოს.

მეორე ვერსიით, აჯანყების მთელი მიზეზი ის ყოფილა, რომ ჯარის-კაცებს ჯამაგირი არ მიუღიათ: სანამ ჯამაგირს არ მოგვცემთ, იარაღს არ დავყრითო. მაგრამ ეს ახსნა ერთობ მარტივია და ამიტომ არც ისე სარწმუნო, მით უმეტესს ისე ნაკლებად გაცნობილ ხალხის შესახებ, როგორც ჩინელებია. რაც უნდა იყოს, ძალიან ცოტა კავშირია ამ ორ ახსნათა შორის: სად დინასტიის გამოცვლა და გაჭირვებულების დახმარება და სად ჯამაგირის მიუღებლობა!

ოსმალეთი. კიდევ სულთან აბდულ ჰამიდის შიშზე და ეჭვიანობაზე. კონსტანტინეპოლში მოსულა გემი, რომელზედაც 300 ამერიკელი მოგზაური ყოფილა. გაუგია თუ არა ეს ამბავი სულთანს, რაღაც მოლანდებია და აუკრძალავს მათი ნაპირე გადმოსვლა. ბოლოს, დიდის მოლაპარაკების შემდეგ, როგორც იქნა ნაპირზე გადმოსვლის ნებართვა აიღეს, მაგრამ თითეული მათგანი ოსმალელ მოხელის თანხლებით უნდა წასულიყო ამერიკის საელჩოში და იქ შეემოწმებინა თავისი პასპორტი.

დამსახურებულ ფუად-ფაშის დასჯა სრულებით უმიზეზო იყო, ე. ი. მიზეზი სულთანის იგივე ავადმყოფური ეჭვიანობაა; კონსტანტინეპოლის ყველა წრეებში დარწმუნებული არიან ფუად-ფაშის სრულს უდანაშაულობაში; ელჩებიც ჩაერივნენ საქმეში და სთხოვეს სულთანს ეპატიებია ფუადისათვის, მაგრამ არა გამოვიდა-რა.

ფუად-ფაშისათვის უკან გაუყოლებიათ ოცდაათი განათლებული ახალ-გაზდა ოსმალელი—მაჰმუდ-დამათ—ფაშასთან კავშირი ჰქონდათო. დატუსაღებულების რიცხვი ერთობ ბევრია; ეხლაც ბევრს ატუსაღებენ სამხედრო და სამოქალაქო წრეებში.

ამბობენ, შემოდგომის ბუზი უფრო მწარედ იკბინებაო, რადგან ახლო აღსასრული მოელისო; იქნება სულთანის დესპოტიაც იმიტომ გამწარდა ამ ბოლოს დროს, რომ ახლოა მისი აღსასრული. შავების ჩამცმელი ბევრი არავინ იქნება.

საფრანგეთი. ჟორჟ კლემანსო გამოჩენილი და დიდ-მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოღვაწე იყო მესამე რესპუბლიკის დაარსებიდან გასულ საუკუნის ოთხმოც-და-ათიან წლებამდე. ამ დროიდან კი მან თავი დაანება პოლიტიკურ ასპარეზს და ჟურნალისტიკას მოჰკიდა ხელი. ამ საქმითაც დიდ სამსახურს უწევდა კლემანსო თავის ქვეყანას, მაგრამ დაკარგვა მისი, როგორც პრაკტიკული მოღვაწისა, დიდი დასაკლისი იყო საფრანგეთის პარლამენტისათვის. ამიტომ დიდი ხანია სცდილობდნენ ჩაეგონებინათ მისთვის დაბრუნებოდა პრაკტიკულ მოღვაწეობას. კლემანსო დიდ უარზე იდგა; ალბად, მეტად გულგატეხილი იყო თანამედროვე საზოგადოებისა, რომელმაც ყოვლად უსამართლოდ და უსაფუძვლოდ პანამის ჩირქი მასაც მოსცხო. ეხლა კი, როგორც გაზეთები დანამდვილებით იტყობინებიან, კლემანსო დათანხმებულა ვარის დეპარტამენტის სენატორობის კანდიდატობაზე და, როგორც სჩანს, აირჩევენ კიდეც. უფრო კონსერვატიულსა და ნიჭით არ მდიდარ საფრანგეთის სენატს ემატებოდა დიდი და გამოცდილი ნიჭი, აღმსარებელი საუკეთესო მოწინავე აზრებისა.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 2 მარტი.

დღეს, ქუთაისის ქართულმა გამომცემელმა ამხანაგობამ ადგილობრივ კათოლიკეთა ეკკლესიაში გარდაიხადა პანაშვიდი მარი ბროსეს სულის მოსახსენებლად მისი დაბადებიდან ასის წლის შესრულების გამო.

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 2 მარტს, ქართველ კათოლიკეთა ღვთის-მშობლის მიძინების ეკკლესიაში ქ. შ. წერა-კითხვის საზ. თაოსნობით, დიდის ამბით გარდაიხადეს საქართველოს ისტორიკოს-არქეოლოგის **მარი ბროსეს** სულის მოსახსენებლად წირვა და პანაშვიდი, რომელსაც დიდ-ძალი ქართველობა დესწრო, ქალი თუ კაცი. სხვათა შორის, წირვა-პანაშვიდს დაესწრნენ: ყოვლად სამღვდელო კირიონი, საფრანგეთის კონსული, მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი სულთან-კრიმ-გირეი, ჩვენი მოღვაწენი—ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, ადგილობრივ გაზეთების წარმომადგენელნი და მრავალი სხვანი. ღვთის-მსახურება წირვა-პანაშვიდზე შეასრულეს ლათინურად და ქართულად მამებმა პავლემ და დომინიკმა საკრებულოთი; მშვენივრად გალობდა ბ. ფალიაშვილის ლოტბარობით მგალობელთა გუნდი, რომელმაც მშვენიერის კილოთი იგალობა ქართულად, სხვათა შორის, „მიწყალე“. ბროსეზე სიტყვა წარმოსთქვა მამა დომინიკმა.

◆ გუშინ, 2 მარტს, ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი რუსეთის მწერლის **ნ. ვ. გოგოლის** სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ: კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსი ბ-ნი ზავადსკი, ტფილისის გუბერნატორის თანამდ. აღმასრულებელი, ქალაქის თავის მოადგილე, ტფ. ქალაქის გამგეობის წევრნი და მოხელენი, ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის, დედათა საპროფესიონალო და ქალაქის ყველა სასწავლებლების მასწავლებელ-მოსწავლენი.

◆ ამას წინად ჩვენ მოხსენებული გვქონდა, რომ სიფხიზლის საზოგადოების კომიტეტმა პირველი ჯილდო მიუსაჯა სამოქალაქო ინჟინერის კრიჩინსკისაგან წარმოდგენილს ტფილისის **სახალხო სახლის** პროექტს. ამ პროექტით სათეატრო დარბაზი-პარტერი და ბალკონი მომავალ სახალხო სახლში დაიტევს 602 კაცს; სათეატრო დარბაზზე მიდგმულია საჩაიე ორასი კაცისათვის, სამკითხველო 50 კაცისათვის, წიგნთ-საცავი და წიგნთ საწყობი. სცენა კარგა მოზრდილი იქნება (5+7 საჟენი), აქვს აგრეთვე საპირფარეშო ოთახები, სადეკორაციოები და სხვა. გარეგანი შეხედულება სახალხო სახლისა მეტად მშვენიერებაა. ეს სახლი, როგორც ვიცით, კ. ი. ზუბალაშვილის სახელზე შენდება.

◆ დღეს, 3 მარტს, გაიმართება კრება ტფილისის **ვაჭართა საზოგადოებისა**; სხვა მიმდინარე საქმეების განხილვის გარდა, კრება აირჩევს ვაჭართა მამასახლისსა და მის ამხანაგებს.

◆ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო წევრთა **წლიური კრება** სამშაბათს, ხუთ მარტს, სხვა საქმეთა შორის, მოისმენს კავკასიის გამოფენის ყოფილ კომისარის თავ. ანდრონიკაშვილის მოკლე ანგარიშს გამოფენის შესახებ და ა. ა. ქალანთარის მოხსენებას, თუ რა და რა საქმეების განხორციელებას უნდა შეუდგეს ახლო მომავალში სამეურნეო საზოგადოება.

◆ თუმცა ტფილისის პოლიცმეისტერის სამმართველოში პირველ მარტს **საადრესო სტოლი** უნდა გაეხსნათ, მაგრამ, რადგანაც ქალაქის მცხოვრებთა შესახებ საჭირო ცნობების მოკრება ვერ მოასწრეს, ამისთვის შემდეგისათვის გადასდეს, როცა ყოველი მოწყობილება საადრესო სტოლისა მზად იქმნება.

◆ „კავკაზ“-ს გაუგონია, რომ საქართველოს ეგზარხოსის, მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესის ალექსის თაოსნობით კითხვა აღიძრა იმაზე, რომ სასულიერო უწყებამ ტფილისში საკუთარი **სტამბა** გახსნას ქართულ საღმრთო სამსახურის წიგნების საბეჭდავად და აგრეთვე სამოსწავლო საბჭოების მოთხოვნილებათა, ჟურნალ „დუხოვნი ვესტნიკ“ და სხვა საეგზარხო დაწესებულებათა საქმეების დასაბეჭდად.

◆ რამდენიმე დღის წინად ქალაქ შემახის ათმა დაზარალებულმა მცხოვრებმა მიჰმართა თხოვნით ტფილისის ქალაქის გამგეობას—**დაეთმოთ** მათთვის პოლიციის მე-10 ნაწილში, ეგრედ წოდებულ „ნაძალადევში“, იჯარით ქალაქის მიწები საცხოვრებლად. აღნიშნულ პირთა განცხადება გამგეობის წევრმა თავ. ჩერქეზიშვილმა წარუდგინა განსახილველად გამგეობას 1 მარტის სხდომაზე. გამგეობამ გადასწყვიტა წარუდგინოს ტფილისის საბჭოს ეს თხოვნა მოხსენებით, რომ შესაძლებელია აღნიშნულ პირთ იჯარით დაეთმოთ ნაძალადევში ქალაქის მიწები.

◆ ტფილისის გუბერნატორმა გაუგზავნა პოლიცმეისტერს უმაღლესად დამტკიცებული პროექტი ტფილისის **სომეხთა დრამატიული საზოგადოების წესდებისა** და წინადადება მისცა გარდასცეს საზოგადოების დამფუძნებელთ, რომელთა შორისაც მოთავედ ითვლება სომხების დრამატურგი გ. ნ. სუნდუკიანცი.

◆ უმაღლეს მთავრობის ნება-რთვით, მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სამეცნიერო მუზეუმს, მუზეუმის კომიტეტის წევრის ვ. დ. ლევინსკის შემოწირულ თანხიდან დაუარსებია **ოქროს მედალი** იმათ დასაჯილდოვებლად, ვინც სამეურნეო დარგიდან რაიმე საყურადღებო გამოკვლევას დასწერს. ვინც აღნიშნულ მედალის მიღებას მოისურვებს, მან ყოველ წელს პირველ სექტემბრისათვის თავისი სამეცნიერო გამოკვლევა აღნიშნულის საზოგადოების მუზეუმის კომიტეტს უნდა წარუდგინოს განსახილველად. ამ დღეებში კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა მიიღო ცნობა მუზეუმის კომიტეტისაგან, დაგვისახელეთ კავკასიაში ისეთი პირი, რომელიც მოისურვებს აღნიშნულ ოქროს მედლის მიღებისათვის მუშაობასაო.

◆ ბევრ-გვარი პროექტები წარადგინეს ქალაქის გამგეობაში **მილით წყლის გამოყვანაზე** ქალაქის საჭიროებისათვის, მაგრამ ქალაქისათვის არც ერთი მათგანი ხელ-საყრელი არ გამოდგა. აპირებდნენ ავჭალიდან მეორე მილის გამოყვანას, მაგრამ გამოანგარიშებით აღმოჩნდა, რომ ვერც მეორე მილი დააკმაყოფილებს ქალაქის მოთხოვნილებას; წალკიდან უნდოდათ წყლის გამოყვანა, მაგრამ გამოანგარიშებით შვიდი მილიონი დაჯდება და ქალაქს ამ ხარჯის გაწევა არ შეუძლიან, თუმცა წალკაში ძალიან ბევრი წყალია და სასმელადაც კარგი; არც ნატახტარის წყაროების გამოყვანა დაინახა ქალაქმა საჭიროდ, რადგანაც საუფლისწულო მმართველმა ვედრაზე $^{1}/_{10}$ კაპ. ითხოვა ამგვარად მილით წყლის გამოყვანის საქმე ჯერ ჯერობით გამოურკვეველად დარჩა და ქალაქმა არ იცის, რა საქმეს დაადგეს.

◆ მიწად-მოქმედების მინისტრის წარმომადგენელმა გაშინჯა საგანგებო კომისიისაგან წარმოდგენილი დასკვნა შესახებ **სოლოლაკის მთის გათხრისა** და დარწმუნდა, რომ სრულიად საკმარისი საბუთებია მოყვანილი იმისთვის, რომ გათხრის მუშაობა დაიწყონ; ამის გამო იმან გადაწყვიტა იშუამდგომლოს მიწად-მოქმედების მინისტრის წინაშე, ნება დაერთოს სამთო ინჟენერებს ბრაილოვსკისა და ხატისოვს შეუდგნენ მთის გათხრის მუშაობას.

◆ ტფ. ქალაქის გამგეობის მდივნის ბ. იაკიმოვის მოხსენების თანახმად, ტფილისის ქალაქის გამგეობამ თავის უკანასკნელ სხდომაზე გარდასწყვიტა მოსთხოვოს თავის ქვემდებარე დაწესებულებათ წარმოადგინონ წარსულ 1901 წლის განმავლობაში თავიანთი **მოქმედების ანგარიშები** 15 მარტამდე, რათა გამგეობამ მოასწროს დროზე მათი დაბეჭდვა და საბჭოსათვის წარდგენა.

◆ ტფილის სანთლის ეპარქიალურ ქარხნის გამგემ სთხოვა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას—ქარხანაც იქმნეს შეტანილი საქალაქო საარჩევნო **სიაში**, რათა ქარხნის წარმომადგენელს შეეძლოს ხმოსანთა საარჩევნო კრებაში მონაწილეობის მიღება.

◆ ამგვარისავე თხოვნით მიჰმართა გამგეობას ტფილისის **სააბრეშუმო სადგურის** უფროსმა, ბ. შავროვმა.

◆ სახელმწიფო ქონებათა მმართველი **ზეგი** პეტერბურგიდან ტფილისში დაბრუნდა და შეუდგა თავის თანამდებობის აღსრულებას.

◆ სახელმწიფო ქონებათა მმართველს რამდენიმე თხოვნა მიართვეს სხვა და სხვა პირებმა, რომ ნება დართონ მათ ბორჩალოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაზრაში **სამადნო ადგილები** შეამუშაონ. მმართველმა გარდასწყვიტა კომისია დანიშნოს ამ კითხვის გამოსაკვლევად.

◆ 27 თებერვალს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ 50 ფუთამდე სხვადასხვა **ხეხილებისა და კულტურულ მცენარეების** თესლი გაუგზავნა ყარსის სამხედრო გუბერნატორს ხალხში გასავრცელებლად.

◆ პირველ მარტს ტფილისის ციხის რამდენიმე ტუსაღი ვერაზე იყვნენ წაყვანილნი აგურხანებში სამუშაოდ. მუშაობის დროს ერთი ტუსაღი **დააკლდათ**. ბევრი ეძებეს ზედამხედველებმა და პოლიციელებმა, მაგრამ ვერსად ვერ იპოვეს. ბოლოს მიხვდნენ, რომ გაქცეულ ტუსაღს ტფილისის ოლქის სასამართლოსაგან გარდაწყვეტილი ჰქონდა პატიმართა რაზმში ერთის წლით გაგზავნა.

◆ პირველ მარტს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხელემ იასნოპოლსკიმ თავის მხლებელ მოხელეებთან ერთად რევიზია მოახდინა ქალაქის სამხედრო საქმეთა **საკრებულოში**.

◆ ჩვენ გადმოგვცეს, რომ ჩვენი მსახიობნი ქ-ბ. ეფ. მესხი და ბ. კ. მესხი ამ დიდ მარხვის კვირეებში ქუთაისს მიემგზავრებიან, სადაც ჰსურთ რამდენიმე წარმოდგენა გამართონ.

◆ ხუთშაბათს, ღამით, ქალაქში საშინელი ქარი ჰქროდა; ქარმა ბაღებში ბევრი ხე წააქცია; ბევრ სახლს სახურავი მოსტაცა და, საზოგადოთ, საკმაო ზარალი მისცა მცხოვრებთ. დიდათ დაზარალდა, სხვათა შორის, საბაღოსნო სკოლა, რომელსაც სახურავი მოხადა; გამოფენის ტერიტორიაზე რამდენიმე პავილიონი გააფუჭა და დაანგრია. სხვათა შორის, სრულიად გაანადგურა ქუთაისის ვაჭრის ბ. ღადიძის პავილიონი.

◆ გუშინ, 2 მარტს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ქუთაისის გუბერნიის მცხოვრების სერგო ჩხიკვიშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლა ედებოდა ბრალად. პალატამ დაამტკიცა ქუთ. ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება, რომლითაც ჩხიკვიშვილი დამნაშავედ იყო ცნობილი და გადაწყვეტილი ჰქონდა ზოგიერთ უფლებათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში ერთის წლის ვადით გაგზავნა.

პრესსა

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თითქმის ყველა რუსული გაზეთები ერთნაირად სჯიან იმ საგანგებოდ დაარსებულის კომისიის შესახებ, რომელსაც დაევალა სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა გამოკვლევა და მის აღსადგენად საშუალებათა შემუშავება. ჩვენ უკვე მოყვანილი გვქონდა „ნოვ. ვრემ.“-ს, „პეტერბ. ვედომ.“-ს, „ნოვოსტი“-ს და ზოგიერთ პროვინციალურ გაზეთის აზრი ამ საგანზე; მოკლედ მათი აზრი ასე გამოიხატება: თუ კომისია მარტო ტეხნიურის მხრით შეზღუდავს თავის მუშაობას, მისი მოღვაწეობა ფუჭად ჩაივლის. ამასვე ამბობს დღეს გაზ. „სიბირსკ. ჟიზნ“ და უფრო მკაფიოდაც. გაზეთი აღნუსხავს იმ ღონისძიებათ, რომელიც შეუძლია შეიმუშაოს კომისიამ: სამეურნეო იარაღებზე ბაჟის მოსპობა, კრედიტის საქმის გაუმჯობესება და სხვა ამგვარი და ამტკიცებს, რომ ყველა ამგვარი საშუალება—პალიატივური დახმარება იქნება და ხალხის ცხოვრებას ვერ გააუმჯობესებს. მაშ, როგორ ეშველება საქმეს? ჰკითხულობს გაზეთი და განაგრძობს:

> თავი და თავი პირობა, ურომლოთაც არავითარს პროექტსა და რეფორმას არ შეუძლია საკმაო სარგებლობა მოუტანოს ხალხს, არის თვით-მმართველობის გაფართოება-განვითარება და საზოგადოებრივ თვით-მოქმედების გაძლიერება; ხალხში საუკეთესო და ფართო სწავლა-განათლების გავრცელება და იურიდიულ უფლებათა გაძლიერება... ერთის სიტყვით, რაზედაც არ უნდა დაიწყო ლაპარაკი, ბოლოს და ბოლოს უთუოდ წააწყდები თანამედროვე ცხოვრების საჭირ-ბოროტო საკითხს, რომლის გადაწყვეტასაც ასე მოუთმენლად და გაფაციცებით მოელის ჩვენი საზოგადოება. წამოაყენებს თუ არა საგანგებო კომისია ამ საჭირ-ბოროტო საკითხს, ესე იგი, დაკმაყოფილდება მარტო ტეხნიურის საგნებით თუ პოლიტიკურ კითხვებსაც შეეხება—ძნელი გამოსაცნობია. უფრო მოსალოდნელია, რომ კომისია ვიწრო ფარგალს არ გასცილდება.

გაზეთ „პეტერბ. ვედომ.“ს არ სწამს „სიბ. ჟიზნი“-ს პესსიმიზმი: შესაძლებელია, ჩვენ უკეთესი რამ მოგველის, ვიდრე გაზეთს ჰგონია, რადგანაც კომისია ვერ შესძლებს ვიწრო ფარგალში მუშაობას და უთუოდ წამოაყენებს თანამედროვე ცხოვრების საჭირ-ბოროტო საკითხსაო!.. ღმერთმა ჰქმნას!..

⁂

ჟურნალი „ტრეზვოსტ ი ბერეჟლივოსტ“ თებერვლის წიგნში ეხება საყურადღებო საკითხს დაზღვევის შესახებ. დაზღვევაო, სწერს ჟურნალი, საზოგადოთ სახელმწიფო საქმე უნდა იყოსო, ნამეტურ მუშათა დაზღვევა უბედურ და სხვა გასაჭირ შემთხვევათაგანო. ამ აზრს წერილის ავტორი ასე ასაბუთებს:

> შეუძლებელია დაზღვევის საქმე თვით მუშების ანაბარა დარჩეს, რადგან მათი უკიდურესი სიღარიბე ხელს შეუშლის ამ კეთილს განზრახვას. სახელმწიფო იძულებულია თვით ჩაერიოს ამ საქმეში და მოაწყოს საქმე ისე, რომ დაზღვევა სავალდებულო იყოს და ამასთანავე მუშები სრულიად თავისუფალნი იყვნენ გადასახადისაგან; დასაზღვევის თანხის შედგენა უნდა იკისრონ სახელმწიფომ და მრეწველებმა. მხოლოდ ამგვარი ორგანიზაცია შესაძლებლად ხდის არ შევუმციროთ მუშებს ისედაც მცირე სამუშაო ფასი; მუშებისათვის ზრუნვა უახლობელეს საგანს უნდა შეადგენდეს სახელმწიფოსა და მწარმოებელთათვის და მაშასადამე მათ უნდა იდონ კისრად დაზღვევის საქმის მოწყობაც სრულს სიმართლეს ამბობს პროფ. ისაევი, რომ „თანამედროვე სახელმწიფო ჰქმნის ისეთს საზოგადოებრივს წეს-რიგს, რომლის მეოხებით მუშათა კლასის მდგომარეობა საზარალოა, ხოლო მწარმოებელნი სარგებლობენ შრომის ასეთის მდგომარეობით თავიანთ ინტერესებისათვის; მაშასადამე, სიმართლე მოითხოვს, რომ მუშების უზრუნველყოფობა დაზღვევით მხოლოდ სახელმწიფოსა და მწარმოებელთა საქმე იყოს“.

გოგოლის დღესასწაულის გამო

1880 წელს რუსეთის ინტელიგენციამ იდღესასწაულა დიდებულის პოეტის პუშკინის იუბილეი. მაშინ სხვა დრო იყო. საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯა უფრო ცოცხლად ჰფეთქდა; რუსის საზოგადოება იმედით შეჰყურებდა ახლო მომავალს და აღორძინების მოლოდინში იყო, რომელიც, მისის აზრით, ხვალ უნდა მომხდარიყო. ამისთანა დროში რუსეთის საზოგადოება მართლა სადღესასწაულო გუნებაზე იყო და ამიტომ „პუშკინის დღეები“ სასიხარულო, ნამდვილ საიუბილეო დღეებად გადაიქცა. მოსკოვში შეგროვდნენ მაშინ რუსეთის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელნი და დღესასწაულს როგორც მოსკოვში, ისე მთელს რუსეთში ნამდვილ ინტელიგენტური ელფერი ჰქონდა.

სულ სხვა ხასიათი ჰქონდა გოგოლის ხსენების დღეს. ახლა დღესასწაულს ოფიციალური ელფერი დაედო. საზოგადოება, სასოწარკვეთილებით შეპყრობილი, განზე იდგა და „გოგოლის დღეები“ მეტად მოსაწყენი და უფერული გამოვიდა. აი როგორ აღგვიწერს ამ დღესასწაულს მოსკოველი კორესპონდენტი „პეტერბურგ. ვედომოსტი“-სა:

მოსკოვი, რუსეთის შუაგული, სადაც განისვენებს გოგოლი, ყველაზე მეტად ემზადებოდა საიუბილეო დღესასწაულისათვის. განზრახვა ჰქონდათ დიდებულად აღენიშნათ იუბილეი, საერთო სახალხო დღესასწაულად გადაექციათ გოგოლის ხსენების დღე. მაგრამ ყოველმა ცდამ ამაოდ ჩაიარა: არა-თუ ხალხი, საზოგადოებაც-კი, მოწყენილი და სასოწარკვეთილი, გულგრილად მიეგება დღესასწაულს. 21 თებერვალს მოსკოვში ვერაფრით ვერ შეამჩნევდი, რომ დიდი დღეა, რომ დიდებულ მწერლის ხსენების დღეა. ხალხი ჩვეულებრივ დასეირნობდა ქუჩებზე, არავინაც არ იცოდა თითქო, რომ მოსკოვის უნივერსიტეტში იწვევენ საზოგადოებას სადღესასწაულო აქტზე. უნივერსიტეტის დიდ დარბაზში დანიშნულ დროს ძლივს თავი მოიყარა 200-მა კაცმა. სამწუხარო სანახაობა იყო ეს ყრილობა და ეს აქტი. არც დეპუტაციები, არც ლიტერატორები, არც ადრესები; წინ ესტრადაზე ისხდნენ გოგოლის ნათესავები, რომელნიც ძალიან ცუდად გრძნობდნენ თავს; ამბობენ, რომ ერთს მათგანს ბ. გოლოვნიას გაპარვაც უნდოდა კიევში. აქტი დაიწყო უნივერსიტეტის რექტორის სიტყვით; ეს იყო გამეორება იმისა, რაც „მოსკოვ. ვედ.“-მა დასწერეს გოგოლის პატივსაცემლად; საზოგადოება ცივად მიეგება რეაქციონურს სიტყვას. შემდეგ ა. ნ. ვესელოვსკიმ დაახასიათა და აღნიშნა გოგოლის მნიშვნელობა რუსულს ლიტერატურაში. მის შემდეგ მოსკოვის ქალაქის თავმა თავ. გოლიცინმა მოინდომა საზოგადოების გამხნევება, საზოგადოების მოწყენილობის გაფანტვა, მაგრამ ამაოდ. ორატორი ხმა-მაღლა ამტკიცებდა: დღეს მთელის რუსეთის წარმომადგენელნი შეიკრიბნენ აქაო, რათა დიდებულად პატივი სცენ დიდებულს მწერალსაო, მაგრამ დარბაზი სრულიად სხვას ამბობდა და ორატორის სიტყვა უფრო დაცინვა და მწარე ირონია გამოვიდა. აქტი დასრულდა შენროკის ვრცელის მოხსენებით გოგოლის ერთ-ერთ თხზულების შესახებ. ასეთივე ელფერი ჰქონდა გოგოლის ხსენებას დანილოვის მონასტერში, სადაც განისვენებს რუსეთის დიდებულის მწერლის გვამი. იქ გადაიხადეს წირვა და პანაშვიდი; საფლავი შეამკეს მხოლოდ 20 გვირგვინით; არც სიტყა, არც ადრესი... იმავე დღეს თეატრებში ითამაშეს გოგოლის თხზულებები, მაგრამ ბლომად საზოგადოება მხოლოდ ერთ თეატრში იყო, სადაც... ალ. ტოლსტოის „მეფე თედორე“ ითამაშეს.

რუსეთის ქრონიკა

∝ მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი მალე განიხილავს პროფ. ოზეროვის მოხსენებას იმის შესახებ, რომ უნივერსიტეტთან დაარსდეს განსაკუთრებული განყოფილება საეკონომიო მეცნიერების შესასწავლად.

∝ რუსეთის სამოსამართლო პალატების უფროსების თავმჯდომარეობით დაარსდა განსაკუთრებული კომისიები, რომლებმაც თავიანთი მოსაზრებანი უნდა შეიმუშავონ და წარუდგინონ მთავრობას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეიცვალოს პროგრამმა იურიდიულ ფაკულტეტისა რუსეთში.

∝ უწმ. სინოდის განკარგულებით, ყველა ადგილობრივ საეპარქიო საბჭოებმა უნდა მოუმატონ ჯამაგირები საეკლესიო-სამრევლო სკოლებისა და წერა-კითხვის სკოლების მასწავლებელთ.

∝ „კიევსკ. გაზ.“-ს სწერენ იალტიდან: იალტასა და გასპრის შუა დიდი მოძრაობაა ამ ჟამად. მიდი-მოდიან ექიმები, ნათესავები, ნაცნობები და პატივისმცემელნი ლ. ნ. ტოლსტოისა. გასპრის ტელეგრაფიც გაცხარებით მუშაობს. იალტაში დიდძალი დეპეშა მოდის ყოველ დღე და ჰკითხულობენ ცნობებს ლ. ტოლსტოის ჯანმრთელობის შესახებ. ამ კორესპონდენციას „კიევსკ. გაზ.“ უმატებს: მთელი დასავლეთ-ევროპა გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებს რუსეთის დიდებული მწერლის ავადმყოფობის მსვლელობას. ყოველ დღე უცხოეთის გაზეთები ბეჭდვენ ბიულეტენებს გრაფის ავადმყოფობის შესახებ თანახმად იმ ცნობებისა, რომელიც იალტიდან მოუდისთ ან ექიმებისაგან ან კორესპონდენტებისაგან.

დაბა-სოფლები

ალაგირი. შაბათს, 23 თებერვალს, ალაგირის ქართულ სამრევლო სკოლის მასწავლებლის, ბ-ნ ლომთათიძის თაოსნობით, გამართულ იქმნა აქაურ ბატარეის სადგომში ამ წელს მეორე უფასო სალიტერატურო საღამო. დანიშნულს დროს მრავალი ხალხი მოაწყდა საღამოს; იყვნენ ქართველები, რუსები და ოსები. საღამო შესდგებოდა ოთხის განყოფილებიდან. წაიკითხეს ქართული ლექსები და აგრეთვე სცენები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან; აუხსნეს დამსწრე საზოგადოებას გოგოლის მნიშვნელობა რუსულს ლიტერატურაში; იმღერეს ქართული საერო სიმღერები და უჩვენეს ბუნდოვანი სურათები. საუცხოვო იყო სცენები გურულების ცხოვრებიდან, წაკითხული მასწავლებლის მიერ; გალობა-სიმღერის მოყვარულთა და მოწაფეეთაგან შედგენილი ხორო მწყობრად გალობდა ქართულ სიმღერებს ბ-ნი ლომთათიძის ლოტბარობით. უცხო სტუმართ მოეწონათ: „წყლის პირას დგანან ბალები“, გურული მარში, „ზამთარი ვარდსა დააჭკნობს“ და „გოდლეის-ნანუნი“. ნაჩვენები იყო სურათები საქართველოს ცხოვრებიდან; სურათები ამ საღამოს გუჩვენეთ საკუთარის ფარნით, რომელიც ამ დღეებში მოგვივიდა მოსკოვიდან. ეხლა-და დაგვრჩა სურათების გამოწერა, რომლის სასყიდელ ფულს წვრილ-წვრილად სწირავენ. ხალხი ძლიერ ნასიამოვნები დაბრუნდა სახლში ღამის 11 საათზე. მასწავლებელი ჰფიქრობს ახლო მომავალში სკოლის სასარგებლოდ კონცერტი გამართოს.

ს. კასპი. კასპისა და ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებნი უმთავრესად ხეხილის გაშენებას მისდევენ. ჩვენ გვგონია, რომ არა თუ მარტო ქართლში, მთელს საქართველოშიაც არ მოიძებნება სხვა ისეთი ადგილი, სადაც მებაღეობას საზოგადოთ იმდენი შემოსავალი მოჰქონდეს, როგორც კასპში და მის მიდამოებში. კასპის ვაშლი და მსხალი განთქმულია და არა ერთ მგზავრს უგემებია ეს ხილი მატარებლის გავლის დროს კასპზე, სადაც ზამთარ-ზაფხულ მრავალი (100-ზედ მეტი) გამყიდველი გლეხი, გლეხიშვილი, გამოდის ხოლმე.

სამწუხაროდ, უკანასკნელ დროს ამ გამყიდველთ სადგურის მოხელე-დარაჯნი დიდ შევიწროებას აყენებენ: გამოჩნდება თუ არა სადგურზე ხილის გამყიდველი, ისინი ცემა-ტყეპით დევნიან მათ სადგურიდან; როგორც გვითხრეს, ასეთი განკარგულება მოუხდენია რკინის გზის მმართველობას, ვითომც იმიტომ, რომ გამყიდველნი აწუხებენ მგზავრებს. ერთ ჩარჩს კიდევაც განუზრახავს ამ განკარგულებით ისარგებლოს: მას თხოვნა შეუტანია რკინის გზის სამმართველოში, რომლითაც აცხადებს—მე გავაშენებ პავილიონს სადგურზე, იჯარას გადვიხდი ხუთ თუმანს და მე მარტო მქონდეს ნება ხილი ვყიდო სადგურზეო. როგორც სჩანს, ხსენებული სამმართველო წინააღმდეგი არ არის ამ თხოვნისა: ამ დღეებში სადგურის უფროსს მოწერილობა მოუვიდა გამოარკვიოს ეს საქმე და თავისი მოსაზრება წარუდგინოს სამმართველოს.

საჭიროა ამ საქმეს მიაქციონ ყურადღება სამეურნეო ან საბაღოსნო საზოგადოებებმა და მცხოვრებთ გაუწიონ დახმარება, რათა ხილის გაყიდვის საქმე ჩარჩის მონოპოლიად არ გადაიქცეს.

წერილი თელავიდან

(ვ. ა. აბაშიძის იუბილეის შესახებ)

27-ს თებერვალს, ბ. აჯიამამუდოვმა ბ. ი., ზარათიშვილის სახლში მიიწვია კერძო კრებაზე ქართველი საზოგადოება. კრების საგანი იყო იმის შესახებ მოლაპარაკება, თუ როგორ იდღესასწაულონ თელავში ნიჭიერის მსახიობის ვასილ აბაშიძის დღესასწაული. კრებაზე დაადგინეს: 1) 31 მარტს გაიმართოს ქართული წარმოდგენა და მთელი შემოსავალი გაეგზავნოს ქართ. დრამატიულ საზოგადოებას არტისტების დასახმარებელ ფონდისთვის; 2) გაიგზავნოს ტფილისში თელავის ქართველ საზოგადოების სახელით დეპუტაცია; დეპუტატებად აირჩიეს: ბ.ბ. ჩხიკვაძე, მგალობლიშვილი და სულხანიშვილი; 3) გაიგზავნოს სცენის მოყვარეთაგან ორი წარმომადგენელი, რათა მიულოცოს დღესასწაული და მიართვას თელავის სცენის მოყვარეთაგან ადრესი; წარმომადგენლებად აირჩიეს ბ. აჯიამამუდოვი და თავ. დ. რ. ვახვახიშვილი. №.

წერილი რედაქციის მიმართ

მ. ხ. ბ. რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით გამოვამჟღავნო შემდეგი შემთხვევა.

ხუთშაბათს, 28 თებერვალს, ჩემი დის-წული, რომელიც ჩემთან სცხოვრობდა, მეორე გიმნაზიის მოსამზადებელი კლასის შეგირდი, ალექსი დვალიშვილი, გიმნაზიიდან სახლში არ დაბრუნებულა და არ ვიცით, მას შემდეგ სად არის. მისმა ამხანაგებმა გვითხრეს, რომ დვალიშვილი მეოთხე გაკვეთილის შემდეგ გიმნაზიიდან სხვებთან ერთად გამოვიდა და ზოგიერთ ამხანაგს უთხრა, მამასთან უნდა წავიდე ყაზახშიო; მაგრამ დღევანდლამდის არც ყაზახში აღმოჩნდა ბავშვი.

უმორჩილესად ვსთხოვ ყველას, ვინც კი იცის რამე ალექსი დვალიშვილის შესახებ, გვაცნობოს (ყორდანოვის ქუჩა, № 10.), რისთვისაც ბავშვის მშობლები დიდს მადლობას შესწირავენ.

ალექსი დვალიშვილი პატარა ტანისაა, ცოტათი წელში მოხრილი დადის, გიმნაზიის ტანისამოსი აცვია.

ა. ყ. ყანჩელი.

P. S. ვთხოვ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს წერილი.

ა. ყ.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

1 მარტი.

პეტერბურგი. მეორე შინაგან მომგებიანი სესხის მე-72 ტირაჟში უმთავრესი მოგებანი ხვდა შემდეგ ბილეთებს: ორასი ათასი მანეთი 10803/13; 75 ათასი მან. 5364/43; 25 ათასი მან. 16950/17; 40 ათასი მან. 8526/35; ათას-ათასი თუმანი 11867/19, 14452/46, 6696/39; რვა-ათას რვა-ათასი მან. 11934/2, 10919/19, 1964/15, 18003/12, 13195/33; ხუთი-ათას ხუთი-ათასი მ.ნ. 226/43, 10930/20, 14511/19, 6172/14, 5197/12, 12500/33, 12378/12, 9096/3; ათას-ათასი მან. 4351/44, 1670/6, 4880/24, 9162/17, 624/46, 5168/19, 9421/38, 3435/38, 11648/19, 13778/14, 14523/23, 7236/47, 958/10, 10951/31, 18711/13, 16350/50, 5065/48, 569/9, 12088/17 და 13434/43.

პეტერბურგი. აქ მოვიდა ცნობილი ხალხთა პოეზიის და ყოფა-ცხოვრების მთამბე რიაბინინი. სადგურ პსკოვის ახლო ვარშავიდან პეტერბურგს მიმავალი ჩქარი მატარებელი დაზიანდა; ხალხი არ დაზარალებულა.

საიდუმლო პოლიციამ აღმოაჩინა ავაზაკები, რომელთ მსხვერპლადაც შეიქნა კალინკინის ლუდის ქარხანა: რიგაში აღმოაჩინეს ბოთლის დასაცობი ფაბრიკა, რომელიც ქარხნის ნიშნებით ამზადებდა ბოთლის საცობს და აგრეთვე ჰელსინგფორსში აღმოაჩინეს ლიტოგრაფია, რომელიც ქურქელზე დასაკრავ განცხადებებს ჰბეჭდავდა.

ესპანიის დესპანი თავადი პიო-დე-სავუა პეტერბურგში დაბრუნდა.

იმპერატორის ალექსანდრე მეორის გარდაცვალების დღეს პეტრე-პავლეს საკრებულო ტაძარში გადაიხადეს წირვა და პანაშვიდი. ღვთის მსახურებას დაესწრნენ მათი უდიდებულესობანი და მათი უმაღლესობანი. ბოლგარიის დიპლომატიურმა სააგენტომ მეფე-განმათავისუფლებლის საფლავს დაფნის გვირგვინი დაადო.

ხარკოვი. საადგილ-მამულო ბანკმა დაიწყო შეცვლა ძველი აქციებისა ახალზე, თითო აქციას აძლევს 33 მან. 34 კაპ.

მოსკოვი. აზნაურ სირანდინაკებმა სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოებას შესწირეს 10,000 მან. სტიპენდიების დასაარსებლად.

დღეს დაასაფლავეს პოლიციელი, რომელიც თანამდებობის აღსრულების დროს მოჰკლეს; დიდის მთავრის ადიუტანტმა მიცვალებულს გვირგვინი დაადო ზედ-წარწერით „ერთგულ აღმასრულებელს მოვალეობისას“.

ვარშავა. ყინვების გამო ვისლაზე გემების მოძრაობა შეჩერებულია.

პრივისლანის გზების სამმართველოსთან არსდება უფასო კურსები მოსამსახურეთათვის უბედურ შემთხვევებში საშველად.

1900 წლის თიბათვეში ვარშავის ოლქის სასამართლოში გაარჩევენ მატარებლების დაჯახების საქმეს ვარშავა-ვენის გზაზე.

როსტოვი. აქ მოვიდა განსაკუთრებული ნავთსადგურების კომისია სამინისტროების წარმომადგენლებისა.

სევასტოპოლი. ხორბლის ფასი 9 მან, 10 კაპ. 9 მან. 70 კაპ. ადის „ჩეტვერტზე“.

ტვერი. ჟუკოვსკის გარდაცვალების აღსანიშნავად ტვერის საბჭომ დაადგინა, ერთ-ერთ საქალაქო სასწავლებელს ჟუკოვსკის სახელი დაარქვას, იქვე დასდგას პოეტის ქანდაკება, ვინც სწავლას ათავებს საქალაქო სასწავლებლებში, იმათ დაურიგოს ჟუკოვსკის თხზულებანი და ერთს უმაღლეს სასწავლებელში დაწესდეს სტიპენდია ჟუკოვსკის სახელზე.

ირკუტსკი. თოვლი უშლის ჩაის მოზიდვას. მრავინა კარგად გახდა და მონგოლიაში წავიდა.

რიგა. ფრანგთა ხელოვნების სურათების გამოფენა იხურება.

მიტავა. შეიპყრეს უცნობი ჭაბუკი, რომელიც თავის წოდებას მალავს და მხოლოდ ამბობს შვეიცარიელი ვარო.

პეტერბურგი. კრონშტადტიდან, პსკოვიდან და ტფილისიდან ამბები მოვიდა, რომ პირველ მარტს პანაშვიდები გადაუხდიათ იმპერატორის ალექსანდრე მეორის სულის მოსახსენებლად.

კოპენჰაგენი. დანიის ვესტ-ინდიის კუნძულის დათმობის კანონ-პროექტი ფოლსტინგში მიიღეს დღეს 88 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ შვიდისა.

ლონდონი. სამხედრო სამინისტროში გამოქვეყნებულს დეპეშაში პრეტორიიდან იტყობინებიან, რომ მეტუენი კლერკსდორპში მოუყვანიათ. მისი მდგომარეობა რიგიანია.

პარიზი. ვალდეკ-რუსსო პირველად გამოვიდა სახლიდან.

სარატოვი. ქალაქში სახადი გავრცელდა. საავადმყოფოები აივსო.

ყაზანი. ვოლგისა და ყაზანკის ნაპირების გამაგრებას შეუდგნენ. სამინისტრომ მისცა 224,000 მან. მუშები—1,300-დე.

ხარკოვი. ხორბლის ფასმა აიწია.—წარსულ წელს ხარკოვის სასამართლოს ოლქში 4,690 ბოროტ-მოქმედება ჩაუდენიათ.

ვლადიკავკაზი. თოვლების გამო, მესამე დღეა, ტფილისის ფოსტა არ მოსულა; სხვა გუბერნიებიდან ფოსტა პეტროვსკზე მოდის.

ნიჟნი-ნოვგოროდი. საგუბერნიო გამგეობა შუამდგომლობს საერობო დამზღვევი კანონის გადადებაზე.

პეტერბურგი. ფორმაციის კრებაზე პეტერბურგში თავმჯდომარედ იქნება პროფესორი მენდელეევი.

2 მარტი

პეტერბურგი. ფინანსთა სამინისტროს მოხსენებით ლონდონიდან ევრს მსხვილ ვაჭარს მისთვის მიუმართავს თხოვნით ეჩვენებინა მათთვის საიმედო ფირმები, რომელთაც შეუძლიათ ინგლისში ერბოს, კვერცხის, ღორის შაშხის, ღორის ქონის და დაკლულ ფრინველების გზავნა. რუსეთის იმ ფირმებმა, რომელნიც მოისურვებენ ამ გვარის წინადადებით სარგებლობას, უნდა შეატყობინონ თავიანთი ადრესი ფინანსთა სამინისტროს აგენტს ინგლისში.—ავსტრიის სამხედრო დეპუტაცია სადარბაზოდ იყო საიმპერატორო გვარის პირებთან.—უმართებულესს სენატის დადგენილებით აიხსნა, რომ მებატონეთა მიწის გლეხების მიერ დასაკუთრების ვადა უნდა იანგარიშონ იმ დროდან, რა დროსაც გლეხებს მიუღიათ საბუთი მათგან გამოყიდულ სანადელო მიწისა.

მოსკოვი. წმ. პავლეს ახალმა საზოგადოებამ მოწყალების დების მუდმივი მორიგეობა გამართა დარიბების უსასყიდლოდ დახმარებისათვის.—გათავდა საჯარო ვაჭრობა საკრედიტო საზოგადოებაში; სახლები დიდ ფასებში გაიყიდა.

ოდესა. ოლქის სამხედრო სასამართლო სამის დღის განმავლობაში არჩევდა იმ ბრბოს საქმეს, რომელიც მსურველებს სხეულს უსახიჩრებდა სამხედრო ბეგრის თავიდან ასაცილებლად. სასამართლომ გადუწყვიტა ჯარის-კაცს როიზს ზოგიერთ უფლებათა ჩამორთმევა და ორი წლიწადი გამასწორებელ რაზმში ყოფნა; ფერშლებს ფუგსსა და კრიკს და ვაჭარ ესიგმანს 16 თვე საპატიმრო; ფერშლებს შაპიროსა და დიტლოვიცკის ერთის თვით დაპატიმრება.

ბაქო. თ. ობოლენსკის განკარგულებით და კომიტეტის საშუალებით შემახაში გაშენდა ბევრი ბარაკი უფრო დარიბ ოჯახებისათვის; ობოლენსკიმვე ნება მისცა კომიტეტს გაუშენოს ბარაკები დანარჩენ 2—3 ათასს ოჯახს, რისთვისაც საგუბერნიო კომიტეტს გამოსთხოვეს უფასოდ 500,000 ფიცარი. თავადის აქ ყოფნამ გაამხნევა სოფლისა და ქალაქის მცხოვრებნი: ამათ დაინახეს, რომ გაღმერთებული მეფე შემდეგშიაც არ დასტოვებს მათ უმწეო მდგომარეობაში. თავადი რამდენიმე სოფელში იყო და ხელმწიფისაგან ნაბოძებ ფულს არიგებდა. ხვალ თავადი დანგრეულ სოფელში მიდის.

კიევი. გასტეხეს ფოსტის ოთხი ყუთი; წერილები წაღებულია: ბოროტ-მოქმედნი ვერ აღმოაჩინეს; უნივერსიტეტის შესავალთან მიჭედილი ყუთი მოეგლიჯათ და მეორე ქუჩაზე დაეგდოთ.—დნეპრი კიევის ზემოთ გაიყინა.

ლონდონი. ფელდ-მარშალი ლორდი უოლსლეი მიდის ხვალ კერძო საქმეების გამო.

კაპშტადტი. კვირას დაიწყეს ჯარების გაძლიერებული მოძრაობა; ხუთი სხვა-და სხვა რაზმი წავიდა დასავლეთით ვოლვეგეკისაკენ; ორი ათიცერი ცხენოსან რაზმით ჯარების წინ მიდიოდნენ და რენოსტერის ჭალას ზვერავდნენ; დატყვევებულია 9 ბური, რომელნიც თხრილებში იმალებოდნენ; ბურების უმთავრესი ძალა გაიქცა. ბურებმა ისევ გაირეკეს წინ გახელებულ საქონლის ჯოგი და დაატაკეს ბლოკჰაუზების მავთულებს გეილბრონსა და ვოლბეგეკს შუა და მომხდარ არეულობის დროს თითქმის ყველანი გაიქცნენ.

პეტერბურგი. „ნოვოე ვრემია“-ს ატყობინებენ, რომ მეტუენი გაუნთავისუფლებიათ ბურებსო. მოსკოვიდან იტყობინებიან, რომ მოსკოვის საქმიო საზოგადოებების დელეგატების კომისიამ შეიმუშავა ყველა საქმიო საზოგადოებების შეერთების წესდება რუსულ წიგნების (?)-ს სლავიანურ ქვეყნებში გაზიდვის დასახმარებლად.—მოსკოვის სლავიანური საზოგადოება შუამდგომლობს ავსტრ-უნგრეთთან, რუმინიასთან, ბოლგარიასთან და სერბიასთან განსაკუთრებული ხელშეკრულების დადებას წერილების, დეპეშების, წიგნების გადაზიდვის ტარიფის შემცირებისა და ოდესასა და ვარნას შუა სატელეგრაფო კაბელის გაყვანის შესახებ.

პეტერბურგის ბირჟა 1 მარტს

გაქსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,05
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,75
ბერლინზე „	46,27½
პარიზზე „	—
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
1% სახელმწიფო რენტა	96⅛ გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	100⅛ „
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა	—
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	474 „
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	373½ „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	300½ „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	90 „
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

გამომც. და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის)

ა) ტფილისიდან ბათუმისაკენ: 1) საფოსტო მატარებელი გადის საღამოს 7 ს. 45 წ. (8 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო გადის დილის 6 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ პარასკეობით) ნაშუადღევის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.); 2) საფოსტო —გადის დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.) 3) სამგზავრო—გადის საღ. 9 ს. 36 წ. (10 ს. და 34 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ).

ბ) ქუთაისიდან ბაქო-ტფილისისაკენ: 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

გ) ბათუმიდან ტფილისამდე და ბაქომდე 1) საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო მატარ. გადის დილის 8 ს. 58 წ, (9 ს. 56 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდან); 2) გადის საღმოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

განცხადებანი

სადგურ სუმბატოვოზე

ხე-ტყის სახერხი ქარხანა

ვიღებ შეღავათიანის ფასით სამუშაო სახერხს; აგრეთვე, რადგან საწარმოებელი თანხა მცირე მაქვს, ქარხანას იჯარით ვაძლევ. მსურველთ მომმართონ ქარხანაში. შემიძლია ხე-ტყის მასალაც მივაწოდო მსურველთ.

(3—2) ჭიკაევი.

ზიგ

ნახშირის საწყობი

იაგორ მამინაიშვილისა

(საკუთარი ტყიდან)

გრის მოედანზე, ყაფანთან

ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი **ნახშირი.**

შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.

ტელეფონი № 754. (წ.).

ტფილისის სამარხი კასა

ვსთხოვთ ყველა დამფუძნებელ წევრთ „**ტფილისის სამარხი კასისას**“ (რომელთაც წესდებაზე ხელი უწერიათ) მობრძანდნენ ქართულ თეატრის დარბაზში ხუთშაბათს, 7 მარტს, საღამოს 7 საათზე, სადაც დანიშნულია საზოგადო კრება, გამგეობის და სარევიზიო წევრთა და მათ ნაცვალთა ამოსარჩევად და აგრეთვე, კასის მოქმედების დაწყების შესახებ მოსალაპარაკებლად.

კრებაზე წევრობის მსურველთაც შეუძლიათ დასწრება.

(3—2) წარმომადგენელი სოსიკო მერკვილაძე.

იყიდება **ხეხილები** ლაგოდეხიდან აფრიკიანცის „შრომის“ საზოგადოებისა, რომელიც დაჯილდოვებულია ოქროს მედლით.

მიხაილოვის პროსპ., № 101, ტერ-სტეფანოვის „პანსიონი“. (2—265—1)

გამგეობა ტფილისის ნოქრების საურთიერთო დამხმარებელი საზოგადოებისა, თებერვლის 15-დან გადავიდა განოვის ქუჩაზე, სახლი № 17 ა. ფრიდონოვისა, სადაც მიიღება საზოგადოების წევრებისაგან საწევრო ფული, ამასთანავე მიიღება განცხადება იმ პირთა, რომელთაც სურთ ჩაეწერონ წევრათ ხსენებულ საზოგადოებისა. კანტორა გამგეობისა ღიაა ყოველ დღე საღამოს 5—8 საათამდე, კვირაობით კი დილის 12—1-მდე. (1—261—3)

საუკეთესო აბრეშუმის

გრენა

(თესლი)

არუთინ ქალანთაროვის ფირმისა ისყიდება ხელმისაწვდენ ფასებში. გრენი შემოწმებულია კავკასიის სააბრეშუმო სადგურის მიერ და კოლოფებს თეთრი ბანდეროლი არტყია.

ადრესი: სიონის ქუჩა ძმ. მელიქ. მარუთოვების მაღაზია. (15—4)

მიიღება ხელის-მოწერა **1902** წლისათვის

„მოამბე-ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანი დამატებით

ყოველ თვიური ჟურნალი

„მოამბე“

(წელიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით	10 მ.	1 წლით	13 მ.
6 თვით	6 „	6 თვით	7 „
3 „	3 „	3 „	5 „

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით	6 მ.	1 წლით	9 მ.
6 თვით	4 „	6 თვით	7 „
1 „	75 კ.	1 „	90 „

ვინც „**მოამბე**“-ს მთელის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ **სურათებიანი დამატებით** უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს ერთი მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი. წლიური ფასის განაწილება სამივე გამოცემაზე: პირველად—6 მან. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ, 1-ლ აგვისტომდე—2 მ.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

რედაქცია და **კონტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქ., **ტელეფონი** № 372.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ „Цнобисъ-Пурцели.“**

Дозволено цензурою Тифлисъ, 2 Марта 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.